საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 6 18 00496027

01/05/2018

გორის წაგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 11/04/2018 წლის N403779 და 19/04/2018 წლის N439280 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 16/04/2018წ. N422644 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობის (სპორტული დარბაზი) ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს საქართველოს განათლებისა და მენიერების სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, ზემომოთხოვნილი ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საჭირო დოკუმენტაცია.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 200 220

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

მამუკა ბერიძე